საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდი კოჭობა



დიდი კოჭობა

დიდი კოჭობა (Carpodacus rubicilla), ფრინველი მთიულასებრთა ოჯახისა.

სხეულის სიგრძე 20 სმ, გავრცელებულია კავკასიის, შუა და ცენტრ. აზიის მთიანეთში, ტიბეტში, ჰიმალაიზე, ალთაიში. საქართველოში ბინადრობს ზამთარში, დიდთოვლობისას მომთაბარეობს ვერტ. მიმართულებით ალპ. მდელოებზე, ზ. დ. 2000 მ ზევით. ზამთარში კენკროვანი ბუჩქნარით დაფარულ მთის მდინარისპირა ველებზე ჩამოფრინდებიან. გაზაფხულზე წყვილდებიან, სხვა დროს გუნდებად ცხოვრობენ. დებენ 3–4 (6-მდე) ცისფერ, მუქწინწკლებიან კვერცხს. იკვებებიან მარცვლეულითა და, შესაძლოა, მწერებითაც. სიმცირის გამო შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში". ცნობილია დ. კ-ს რამდენიმე ქვესახეობა, რ-თაგან საქართველოში გვხვდება კ ა ვ კ ა ს ი ი ს დ ი დ ი კ ო ჭ ო ბ ა (C. R. rubicilla).

რ. ჟორდანია